ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/14140601-16 11 06 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. მეორე კვარტალი, კოპუსი №7-ის მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №682491 10.05.2013

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. მეორე კვარტალი, კოპუსი №7-ის მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„10-1" ფასადზე: შეცვლილია რელიეფის დონე, რის გამოც შეცვლილია გარე კიბის კონფიგურაცია. „4-3" მონაკვეთში ტერასაზე მოწყობილია -3.40 ნიშნულზე ჩასასვლელი ლითონის კიბე და მოაჯირები. გასქელებულია პარაპეტის შუბლი, რის გამოც შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე 0.45 მ-ით და შეცვლილია მათი ნახატი.

„ა-ბ" ფასადზე: შეცვლილია გარე კიბეების საფეხურების რაოდენობა. +0.00 ნიშნულზე ასევე შეცვლილია კიბის ძირის ფორმა. შეცვლილია მოაჯირის მასალა, ფორმა და ნახატი. „ბ-ბ" ღერძთან გაუქმებულია კარი, ხოლო „ა-ა" ღერძის გარეთ წყალჩამდენი მილი მოწყობილია კედლის შიგნით.

„1-10" ფასადზე: +0.00 ნიშნულზე „1-4" მონაკვეთში რიგელი არ არის მოპირკეთებული. „6-6" ღერძთან გაუქმებულია საჰაერო მილები. აღნიშნულ და „ბ-ა" ფასადებზე ტერასის გარშემო ხის ნაცვლად მოწყობილია ლითონის პერგოლები.

„ბ-ა" ფასადზე: გაზრდილია ტერასის სიგანე 0.4 მ-ით. შეცვლილია პერგოლებიანი ღიობის გაბარიტები.

-3.40 ნიშნულზე „1-1" ღერძზე და „10-10" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია თითო კოლონა. +0.00 ნიშნულიდან ზევით გაზრდილია შენობის სიგანე 0.5 მ-ით, რის გამოც გაზრდილია ფართი თითოეულ სართულზე 14 კვ.მ-ით. +0.00 ნიშნულზე „9-10" მონაკვეთში შიდა კიბის ქვეშ მოწყობილია საყრდენი სვეტი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გურამ გოგიტიძეს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. მეორე კვარტალი, კოპუსი №7-ის მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14140601-16 20.05.2014წ. განცხადება

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი